

მე-2 კლასი

სავარჯიშო I. ქართული ანბანი, დამარცვლა და გადატანა

- სიტყვაში „წითელი“ მეხუთე ბგერა არის:
ა) თანხმოვანი ბ) ხმოვანი გ) თ
- დაასრულეთ წინადადება: სიტყვაში „თუთა“ ხმოვნებისა და თანხმოვნების რაოდენობა _____.
ა) სხვადასხვაა ბ) თანაბარია გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი
- სწორად დამარცვლილი სიტყვაა:
ა) გას-აყიდ-ად ბ) ხელმ-წიფ-ე გ) მე-პუ-რე
- შემოხაზეთ სიტყვა, რომელშიც არის მარცვალი „სა“:
ა) ათასგვარი ბ) მოესმა გ) საფარფატოდ
- რამდენი ასო-ბგერა გვაქვს ქართულ ანბანში?
ა) ოცი ბ) ოცდაათოთხმეტი გ) ოცდაცამეტი
- რომელია ანბანის მეათე ასო-ბგერა?
ა) კ ბ) უ გ) პ
- რა არის სახელწოდება ასო-ბგერისა „დ“?
ა) დენ ბ) დინ გ) დონ
- რამდენი თანხმოვანია სიტყვაში „დაგვიანებული“?
ა) ხუთი ბ) ექვსი გ) შვიდი
- რამდენმარცვლიანია სიტყვები: დოდი, მდოგვი, გვიმრა?
ა) ერთმარცვლიანი ბ) ორმარცვლიანი გ) სამმარცვლიანი
- რამდენმარცვლიანია წინადადება: „ენმელამ თვალი გაახილა“?
ა) ხუთი ბ) რვა გ) ცხრა

სავარჯიშო II. შემოხაზეთ სწორი ვარიანტი.

- მოცემული მსჯელობიდან რომელია სწორი?
ა) წინადადებაში სიტყვები გარკვეული რიგით არ არის დალაგებული.
ბ) წინადადება სიტყვებისაგან შედგება, სიტყვები კი - ბგერებისაგან.
გ) წინადადება სიტყვებისაგან შედგება, სიტყვები წინადადებისაგან.
- რა სასვენი ნიშანს ვწერთ თხრობითი წინადადების ბოლოს?
ა) კითხვის ნიშანს ბ) მძიმეს გ) წერტილს
- სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი არის წყვილში:
ა) დედ-მამა ბ) სიდედრ : სიმამრი გ) მამა ; შვილი
- რომელია არასწორი შესიტყვება?
ა) არწივი-მართვე ბ) ვეფხვი-ბოკვერი გ) სპილო-ლეკვი
- რომელია სწორი შესიტყვება?
ა) გემრიელი ვაშლი ბ) მწარე ცა გ) ცხელი ყინული

III. ბონუს სავარჯიშო: ჩასვით გამოტოვებული სიტყვა.

- „ერთი ___ გული ცხრა ძმამ გაიყო.“ ა. თხილის ბ. კარის გ. ლომის
- „ასჯერ გაზომე და ___ გაჭერიო.“ ა. აღარ ბ. ალბათ გ. ერთხელ
- „ზარმაცისათვის ყოველი ___ უქმეა.“ ა. დღე ბ. მოდის გ. ტყუილად
- „კარგი შვილი დედის ___ ვარდიაო.“ ა. გულის ბ. ვარდის გ. ენძელა
- (ბონუს შეკითხვა მაგთისგან)** ოლიმპიადაზე წასვლამდე ნატალიმ მეგობარს დაურეკა და დაწყების დრო შეახსენა. ჩამოთვლილთაგან რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში?
ა. დაურეკა ბ. ნატალი გ. ოლიმპიადაზე

მე-3 კლასი

I სავარჯიშო: მარცვალი, დამარცვლა და გადატანა, არსებითი სახელები, საკუთარი სახელები.

1. შეიძლება თუ არა ერთი თანხმოვნის დატოვება სტრიქონზე?
 - ა) შეიძლება
 - ბ) არ შეიძლება
 - გ) ზოგჯერ შეიძლება, ზოგჯერ - არა
2. ჩამოთვლილთაგან, რომელია ორმაცვლიანი: „ქალაქი, ტყე, წიგნი“?
 - ა) წიგნი
 - ბ) ქალაქი
 - გ) ტყე
3. რამდენი მარცვალია წინადადებაში: „საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ!“
 - ა) ათი
 - ბ) რვა
 - გ) თორმეტი
4. რომელია სწორად დამარცვლილი?
 - ა) ტ-ყე
 - ბ) სამ-შობ-ლო
 - გ) წა-რმ-ატე-ბული
5. რომელია დახურული მარცვალი?
 - ა) დედას
 - ბ) მამა
 - გ) მთა
6. ჩამოთვლილი სიტყვებიდან რამდენს დაესმის კითხვა ვინ? „ ბაღი, მეგობარი, ექიმი, ქალაქი, მასწავლებელი?“
 - ა) ერთ სიტყვას
 - ბ) ორ სიტყვას
 - გ) სამ სიტყვას
7. რამდენი საკუთარი სახელია ტექსტში? „სახალწლო ზეიმზე დანიელი და გიგი კარგად მომზადებულები მივიდნენ. ნინო მასწავლებელმა ისინი შეაქო და საჩუქრებით დააჯილდოვა.“
 - ა) ერთი
 - ბ) ორი
 - გ) სამი
8. რომელ რიგშია ანბანის რიგზე დალაგებული საკუთარი სახელები?
 - ა) ვანო, ანანო, ივერი.
 - ბ) ანასტასია, ბელა, გელა.
 - გ) ემზარი, ირაკლი, ანა.
9. რამდენი არსებითი სახელია გადაბმულ წინადადებაში? „ მიყვარსწიგნები, ვუსმენმუსიკას“
 - ა) ერთი
 - ბ) სამი
 - გ) ორი
10. რამდენი სულიერი სახელია მოცემულ ტექსტში?
„ დათვი და სპილო დამძობილდნენ. ერთად სვამდნენ, ჭამდნენ და სხვა ცხოველებსაც დიდი პატივით უმასპინძლებოდნენ. განსაკუთრებით მოსწონდათ ლომისა და ზებრას სტუმრობა.“
 - ა) ოთხი
 - ბ) სამი
 - გ) ხუთი

II სავარჯიშო: მოქმედების გამომხატველი სიტყვები და მათი დროები

11. რამდენი მოქმედების გამომხატველი სიტყვაა წინადადებაში:
„ იამაყე შენი ქვეყნით და გაიხარე მისი წარმატებით!“
 - ა) ერთი
 - ბ) ორი
 - გ) სამი
12. ჩასვით წინადადებაში შესაბამისი მოქმედების სიტყვა: „ გოგონებს ძალიან თოჯინებით თამაში.“
 - ა) მოსწონს
 - ბ) უყვარს
 - გ) უყვართ
13. ჩასვით წინადადებაში შესაბამისი მოქმედების სიტყვა: „ მე დედას ყვავილები “.
 - ა) ვაჩუქე
 - ბ) აჩუქე
 - გ) აჩუქა
14. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში: „ შემოდგომის მზემ ამოანათა.“
 - ა) ახლა
 - ბ) წარსულში
 - გ) მომავალში
15. როდის ხდება მოქმედება წინადადებაში: „ მალე ყურმენი დაიკრიფება.“
 - ა) მომავალში
 - ბ) წარსულში
 - გ) აწმყოში

III ბონუს სავარჯიშო: სასვენი ნიშნები წინადადებაში.

16. რა შემთხვევაში ვწერთ წინადადების ბოლოს წერტილს?
 - ა) როცა აზრი დამთავრებულია;
 - ბ) როცა გვეკითხებიან;
 - გ) როცა გვიბრძანებენ;
17. რომელ წინადადებაში უნდა გამოვიყენოთ მძიმე?
 - ა) დღეს კარგი ამინდია.
 - ბ) კოტემ ჩანთაში ჩაალაგა წიგნები რვეულები კალმები.
 - გ) ხემ მოისხა ფოთოლი.
18. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი სასვენი ნიშანი?
 - ა) აკაკი წერეთელი დაიბადა სხვიტორში.
 - ბ) რა გქვია შენ:
 - გ) მე მიყვარს ნაყინი - ?
19. რა სასვენ ნიშანი უნდა დავსვათ წინადადების ბოლოს: „საით მიფრინავენ წეროები“
 - ა) მძიმე
 - ბ) ტირე
 - გ) კითხვის ნიშანი
20. (ბონუს შეკითხვა მაგთისგან) ოლიმპიკადაზე წასვლამდე ნატალიმ მეგობარს დაურეკა და დაწყების დრო შეახსენა. ჩამოთვლილთაგან რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში?
 - ა) დაურეკა
 - ბ) ნატალი
 - გ) ოლიმპიკადაზე

მე-5 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელები, ზედსართავი სახელები, რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა

- როგორია ხაზგასმული არსებითი სახელი წინადადებაში?
„ვილარმონის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ხუთ კალანდაძის საიუბილეო საღამო.“
ა) საზოგადო ბ) საკუთარი გ) კრებითი
- რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული არსებითი სახელები წინადადებაში:
„დღისა და ღამის გასაყარზე იდგა მამული!“
ა) მოქმედებითში ბ) მიცემითში გ) ნათესაობითში
- რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი წინადადებაში?
„პიგმალიონის ნატიფმა ქანდაკებამ მას ბედნიერება მოუტანა.“
ა) მოთხრობითში ბ) სახელობითში გ) ნათესაობითში
- ჩამოთვლილი სახელებიდან რამდენია ზედსართავი სახელი?
„საუკეთესო, მწუხარე, რაინდი, უბედნიერესი, ზღაპარი, თუთიყუში“
ა) ორი ბ) სამი გ) ოთხი
- რამდენი არსებითი და რამდენი ზედსართავი სახელია ტექსტში? „ფერად-ფერადი ყვავილებით მოირთო გორაკი და ცისფერი ზეცა ამ სილამაზეს დაჰნათოდა სიყვარულით.“
ა) ხუთი არსებითი და ორი ზედსართავი
ბ) სამი არსებითი და ერთი ზედსართავი გ) ოთხი არსებითი და ორი ზედსართავი
- რაოდენობითი რიცხვითი სახელი გვაქვს:
ა) გარკვეული ბ) გაურკვეველი გ) ჩამოთვლილთაგან ორივე შესაძლებელია
- გაურკვეველი რაოდენობითი რიცხვითი სახელებია:
ა) ათი, ორმოცდაორი, ორმოცდაათი
ბ) უამრავი, ურიცხვი, მრავალი გ) სამი, თორმეტი, ცამეტი
- რთული რიცხვითი რიცხვითი სახელები იწერება:
ა) ცალ-ცალკე ბ) ზოგი ერთად, ზოგი ცალ-ცალკე გ) ერთად
- რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?
ა) ოთხმოცდა ათი ბ) მეთოთხმეტე გ) მე-ათასე
- რომელია სწორად დაწერილი რთული რიცხვითი სახელი?
ა) მე-200 ბ) მე-200-ე გ) 200-ე

II სავარჯიშო: ნაცვალსახელი და მისი ჯგუფები

- პირველი პირის ნაცვალსახელებია:
ა) მე, ჩვენ ბ) შენ, თქვენ გ) ის, ისინი
- კუთვნილებითი ნაცვალსახელებია:
ა) თქვენი, მათი ბ) ესენი, ისინი გ) ეს, მან
- ჩვენებითი ნაცვალსახელი გუ გამოხატავს:
ა) მესამე პირთან სიახლოვეს ბ) პირველ პირთან სიახლოვეს გ) მეორე პირთან სიახლოვეს
- რომელ წინადადებაშია გამოყენებული მესამე პირის ნაცვალსახელი?
ა) მე ვამაყობ შენით! ბ) მას მოსწონს დედის ნაყიდი კაბა. გ) შენ გაიხარე, შვილო!
- რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) მან დაიპყრო რომი. ბ) მეგობარმა თავისი წიგნი მაჩუქა. გ) მათმა იყიდეს ყვავილები.

III სავარჯიშო: ზმნები და მათი მართლწერა

- რომელ დროშია ზმნა წინადადებაში: „შობის დილაღ გათენდა.“
ა) ახლანდელში ბ) წარსულში გ) მომავალში
- რომელ დროშია ზმნები წინადადებაში: „ ზის ტოტზე მაიმუნი და ბანანს მიირთმევს.“
ა) ახლანდელში ბ) წარსულში გ) მომავალში
- რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) კესოს დიდედამ გემრიელი ხაჭაპური გამოუცხო.
ბ) ზურაბი დილაობით ბევრს ვვარჯიშობდა. გ) მაგდანა თავის ლურჯას კარგად უვლიდა.
- რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) მეც უამბე ყოველივე დედას.
ბ) მამა სამსახურიდან გაათავისუფლეს. გ) დიდდა პაპას წინდებს უქსოვდა.
- (ბონუს შეკითხვა მაგთისგან) ოლიმპიადაზე წასვლამდე ნატალიმ მეგობარს დაურეკა და დაწყების დრო შეახსენა. ჩამოთვლილთაგან რომელია მოქმედების გამომხატველი სიტყვა წინადადებაში?
ა) დაურეკა ბ) ნატალი გ) ოლიმპიადაზე

მე-6 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელები და მათი მართლწერა, ბრუნვები და მათი ნიშნები.

1. არსებითი სახელის ჯგუფებია:

ა) კონკრეტული და აბსტრაქტული ბ) სრული და უსრული გ) დასრულებული და დაუსრულებელი

2. არსებითი სახელი არის:

ა) მხოლოდ კუმშვადი, უკუმშველი

ბ) მხოლოდ კვეცადი, უკვეციელი

გ) ჩამოთვლილთაგან ორივე შესაძლებელია

3. რომელია აბსტრაქტული არსებითი სახელი?

„ბავშვის აზროვნება ეროვნულ ცნობიერებაზე უნდა ჩამოყალიბდეს.“

ა) აზროვნება

ბ) ბავშვი

გ) ერი

4. რამდენი კონკრეტული არსებითი სახელია წინადადებაში?

„სკოლის კედლები სურათებით იყო დამშვენებული.“

ა) ერთი

ბ) ორი

გ) სამი

5. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) პეპელას თავისუფლება ხანმოკლე აღმოჩნდა.

ბ) კედლის კუთხეში მაგიდა მიედგათ.

გ) მთის მწვერვალზე რაღაც მოჩანდა.

6. სახელებს, რომლებიც იბრუნვიან, უწოდებენ....

ა) დამხმარე სიტყვებს

ბ) უღლებად სიტყვებს

გ) ბრუნებად სიტყვებს

7. მიცემითი ბრუნვის ნიშანია:

ა) -ს

ბ) -ის

გ) -ით

8. წოდებითი ბრუნვის ნიშანია:

ა) -ად

ბ) -ვ, ო

გ) -ით

9. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვა წინადადებაში: „სიტყვის კაცი იყო პაპუნა.“

ა) მიცემითში

ბ) სახელობითში

გ) ნათესაობითში

10. რომელ ბრუნვაშია ხაზგასმული სიტყვები წინადადებაში:

„წმიდაო ღმერთო, დაგვიფარე და დაგვიცავი ბოროტისაგან....“

ა) მიცემითში

ბ) წოდებითში

გ) ვითარებითში

II სავარჯიშო: რიცხვითი სახელები და მათი მართლწერა.

11. რაოდენობითი რიცხვითი სახელი არის:

ა) სამგვარი

ბ) ორგვარი

გ) ოთხგვარი

12. რიცხვითი რიცხვითი სახელი მიიღება:

ა) რაოდენობით რიცხვით სახელზე მე-ე თავსართ-ბოლოსართის დართვით;

ბ) მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან

გ) წილობითი რიცხვითი სახელებიდან

13. რომელია რთული რიცხვითი სახელი?

ა) ერთი

ბ) ასი

გ) ხუთას სამოცდაორი

14. რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?

ა) მე-3-ე ადგილი აიღო დანიელმა.

ბ) მე-10 რიგში ვისხედით ბიჭები.

გ) VIII-ე საუკუნეში ქართლში არაბები ბატონობდნენ.

15. რომელია სწორად დაწერილი?

ა) ოთხასი

ბ) ოთხასორი

გ) მე-400-ე დღე

III ბონუს სავარჯიშო: ნაცვალსახელები.

16. რომელ წყვილშია პირის ნაცვალსახელი?

ა) ის მიირთმევს

ბ) მათი საჩუქარი

გ) ეგ ნივთები

17. რომელ წყვილშია კუთვნილებითი ნაცვალსახელი?

ა) შენ ისწავლე

ბ) ეს კაცები

გ) ჩემი სიყვარული

18. რომელ წყვილშია ჩვენებითი ნაცვალსახელი?

ა) ის მეგობრები

ბ) ჩვენ ვზეიმობთ

გ) მათ ახარებთ

19. რომელი წინადადებაა სწორი?

ა) თავისი სიხარული ყველას გაუზიარა.

ბ) შენ მეგობარს მოსწონს თქვენი ეზო.

გ) მათმა გაიმყარეს პოზიციები.

20. (ბონუს შეკითხვა მაგთისგან) „მაგთის 24 წლიანი ისტორია ახალი ლოგოთი გრძელდება“ რა გრამატიკული

ერთეულია სიტყვა „ისტორია“ ?

ა) არსებითი სახელი

ბ) ზმნა

გ) ვითარებითი ნაცვალსახელი

კინგსის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-7 კლასი

I სავარჯიშო: არსებითი სახელი, თანდებუდიანი ბრუნვები, ზედსართავი სახელის რაობა.
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

- რამდენი არსებითი სახელია წინადადებაში:
„ნეკერჩხლის ყვავილი ღუდღუდებდა.“
ა) ერთი ბ) ორი გ) სამი
- რომელია კრებითი სახელი წინადადებაში:
„ ცხვრის ფარა მთაზე შეფენილიყო.“
ა) მთა ბ) ფარა გ) ცხვარი
- რომელ ბრუნვაშია სიტყვები: მეგობარმა, თამადამ ?
ა) სახელობითში ბ) მოთხრობითში გ) ნათესაობითში
- რომელია თანდებუდიანი სახელი წინადადებაში:
„ დედასავით საყვარელი არავინაა დედამიწაზე!“
ა) საყვარელი ბ) დედამიწა გ) დედასავით
- რომელ ბრუნვაშია თანდებუდიანი სახელი „სოფლამდე“?
ა) სახელობითში ბ) მიცემითში გ) ვითარებითში
- რომელი სიტყვაა ზედსართავი სახელი: „ხმელი წიფელი სევდიანად გადაჰყურებდა არემარეს.“
ა) სევდიანად ბ) წიფელი გ) არემარეს
- რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი ლამაზის?
ა) ნათესაობითში ბ) მიცემითში გ) მოქმედებითში
- რომელ ბრუნვაშია ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„ დიდი და ნათელი დღეები გველის.“
ა) წოდებითში ბ) სახელობითში გ) მოქმედებითში
- რომელია წარმოქმნილი ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„ საკაბე ნაჭერი მიყიდა დიდედამ.“
ა) ნაჭერი ბ) დიდედამ გ) საკაბე
- რომელია წარმოქმნილი ზედსართავი სახელი წინადადებაში:
„ უდედო ბავშვი ქუჩაში დაეხეტებოდა.“
ა) ბავშვი ბ) ქუჩა გ) უდედო

II სავარჯიშო: რიცხვითი სახელის რაობა და მართლწერა
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

- რომელია რთული რიცხვითი სახელი?
ა) ცხრა ბ) ორმოცი გ) მეოთხე
- რომელია მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელი?
ა) სამოცდარვა ბ) ოცდარვა გ) რვა
- რომელია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) მე-100-ე სართული ბ) თექვსმეტი დღე გ) მე- VIII სკოლა
- რომელ წინადადებაშია სწორად დაწერილი რიცხვითი სახელი?
ა) X-ე მონაწილეს ყველა თანაუგრძნობდა.
ბ) ორთავეს კარგად ესმოდა ამ წიგნის მნიშვნელობა. გ) რიგით მე-10 ვიყავი.
- რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) 3-ედ გააფრთხილეს
ბ) 1-ლი იყო სწავლაში.
გ) ხუთ-ნახევარი კგ სამურაზე მსხალი ჩაუტანა დიდედას.

III ბონუს სავარჯიშო: ზმნის პირი და რიცხვი
შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. რამდენპირიანია ზმნა წინადადებაში:
„თედოს და თომას ჭრელი წინდები მოუქსოვეს.“
ა) ერთპირიანი ბ) ორპირიანი გ) სამპირიანი
17. რომელ წინადადებაშია ორპირიანი ზმნა?
ა) დანიელს უყვარდა ნაყინი.
ბ) სამზარეულოში ჩაიდანი დუღდა.
გ) ბავშვებს სათამაშოები წაულო.
18. რომელი ზმნა შეიწყობს ერთ ობიექტს?
ა) პინავს ბ) წაილილინა გ) გააკეთებინა
19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ივრის ჭალებში გაჩაღდა მუშაობა.
ბ) მხიარულობდენ ჭრელი პეპლები.
გ) პატარა გოგლას ჭერმის ხე გაუყიდა.

მაგთის ბონუს კითხვა

20. „მაგთის 24 წლიანი ისტორია ახალი ლოგოთი გრძელდება“ რა გრამატიკული ერთეულია სიტყვა „ისტორია“ ?
ა) არსებითი სახელი ბ) ზმნა დ) ვითარებითი ნაცვალსახელი

17. ჩასვით შესაბამისი ზმნა: „ამ ქალაქში მე დღეს“
ა) ჩამოვედით ბ) ჩამოვიდნენ გ) ჩამოვედი
18. რომელია მოქმედი პირი ზმნაში *ვყვირი* ?
ა) პირველი ბ) მეორე გ) მესამე
19. შეუწყვეთ პირები ზმნას *გაულიმა* !
ა) მან მას ის ბ) მან ის გ) მან მას

მაგთის ბონუს კითხვა

20. „მაგთის 24 წლიანი ისტორია ახალი ლოგოთი გრძელდება“ რა გრამატიკული ერთეულია სიტყვა „ისტორია“ ?
ა) არსებითი სახელი ბ) ზმნა დ) ვითარებითი ნაცვალსახელი

კინგის ქართული ენის ოლიმპიადა 2020 / I ტური
მე-9 კლასი

I სავარჯიშო: კუმშვად და უკუმშველ სახელთა ბრუნება, რიცხვითი სახელის რაობა.

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

- როგორ სახელებს ჰქვია უკუმშველი?
 - როდესაც ფუძეში ჩნდება ახალი ხმოვანი;
 - სახელებს, რომელთაც ფუძეში ხმოვანი არ ეკარგებათ;
 - როდესაც ხდება ფუძისეული ხმოვნის დისიმილაცია;
- ჩამოთვლილთაგან კუმშვისას რომელი სახელის ფუძიდან ამოვარდება ე ხმოვანი?
 - მგელი;
 - ძმარი;
 - გოდორი;
- შემოხაზეთ მართებული ფორმა?
 - ჭერამის;
 - ჭერამით;
 - ჭერმის;
- რომელია თანხმოვანფუძიანი სახელი?
 - ხბო ;
 - ტყე;
 - თაფლი;
- რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
 - ბატკანის ბლავილმა გამაღვიძა.
 - პატარა გოგომ ჩაფით წყალი მოარბენინა.
 - თებრომ ჭიდან წყალის მოტანა გადაწყვიტა.
- რას აღნიშნავს რაოდენობითი რიცხვითი სახელი?
 - მხოლოდ საგნის ნაწილს;
 - მხოლოდ საგნის რიგს;
 - საგნის რაოდენობას;
- რომელია რიგობითი რიცხვითი სახელი?
 - მეხუთე;
 - ათი;
 - მეშვიდედი;
- როგორ იწარმოება წილობითი რიცხვითი სახელი?
 - რაოდენობითი რიცხვითი სახელის ფუძეზე ე სუფიქსის დართვით;
 - რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმით;
 - რიგობით რიცხვითი სახელზე ე სუფიქსის დართვით;
- რომელია სწორი ფორმა?
 - ორმოცდა-ორი;
 - ორმოცდა ორი;
 - ორმოცდაორი;
- რომელია სწორი ფორმა?
 - მე- V ;
 - XII ;
 - მე-XX-ე;

II სავარჯიშო: კომპოზიტების ანუ რთული სიტყვების მართლწერა

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

- შემოხაზეთ მართებული ფორმა?
 - კაშ-კაშა ;
 - კაშკაშა;
 - კაშ-კა-შა;
- რომელია ფუძეგაორკეცებული კომპოზიტი?
 - ცისკარი;
 - ქუჩა-ქუჩა;
 - მთა-ბარი;
- ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?
 - დედა-შვილობა ;
 - და-ძმა;
 - დედ-მამა;
- ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი ფორმა?
 - თავ-ჩაღუნული ;
 - თავქუდმოგლეჯილი ;
 - კისერ წაგრძელებული;
- ჩამოთვლილთაგან რომელია მცდარი ფორმა?
 - ხევხევ ;
 - ხევ-ხევ ;
 - უბან-უბან;

III ბონუს სავარჯიშო: გრამატიკული დროის რაობა.

შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ და გ

16. რამდენი დროა ქართულ ენაში?

- ა) ორი; ბ) ერთი ; გ) სამი;

17. რომელი დროის ფორმაა მიერთმევს? (ორივე ჩაითვალა--ეს ზმნა შეიძლება იყოს როგორც ახლანდელი ისე მომავალი)

- ა) ახლანდელი ბ) წარსული გ) არცერთი პასუხი არ არის სწორი

18. რომელი დროის ფორმაა ხაზგასმული სიტყვა?

„ნიკო ფიროსმანი პორტრეტებს ხატავდა.“

- ა) ახლანდელი ; ბ) წარსული; გ) მომავალი;

19. რომელი დროის ფორმაა ხაზგასმული სიტყვა მოცემულ წინადადებაში?

„ ნიკუშა დავალებას დაწერს.“

- ა) ახლანდელი ; ბ) მომავალი ; გ) წარსული;

მაგთის ბონუს შეკითხვა

20. რას ნიშნავს იდიომი „ბანის მიცემა“?

- ა) აყოლა, გამოხმაურება, დათანხმება.
ბ) ფულის, ნივთის გასესხება/თხოვება.
გ) გაჭირვებულის დახმარება.

„ დმერთო, მღმეცი ძალა და გონება!?

ა) განსაზღვრება ბ) ქვემდებარე

გ) შემასმენელი

18. რომელია გარემოება?

„ ეკლესიიდან ზარების რეკვა ისმის.“

ა) ისმის ბ) ეკლესიიდან

გ) რეკვა

19. წინადადების რომელი წევრია ხაზგასმული სიტყვა?

„დილის ნისლი თანდათან იფანტებოდა.“

ა) ქვემდებარე ; ბ) განსაზღვრება;

გ) უბ.დამატება;

მაგთის ბონუს შეკითხვა

20. რას ნიშნავს იდიომი „ბანის მიცემა“?

ა) აყოლა, გამოხმაურება, დათანხმება.

ბ) ფულის, ნივთის გასესხება/თხოვება.

გ) გაჭირვებულის დახმარება.

„ხურჯინმოკიდებული გიორგი უკამნოუხედავად წავიდა.“

ა) ოთხი

ბ) სამი

გ) ორი

19. სინტაქსური ურთიერთობის რომელი სახე გვაქვს წყვილში: მაისის მზე?

ა) შეთანხმება

ბ) მირთვა

გ) მართვა

მაგთის ბონუს შეკითხვა

20. რას ნიშნავს იდიომი „ბანის მიცემა“?

ა) აყოლა, გამოხმაურება, დათანხმება.

ბ) ფულის, ნივთის გასესხება/თხოვება.

გ) გაჭირვებულის დახმარება.